ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2605668

ნომერი: AR1403231

თარიღი : 10.05.2016

გაცემის თარიღი : 23.05.2016

გაცნობის თარიღი : 24.05.2016

შედეგი : პირობადადებული.

ობიექტის მისამართი :

ვაჟა-ფშაველას გამზირი N 1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ ბაღათურია პ/ნ 62004007601
- თბილისი მ.კოსტავას ქ. N 63ა ბ. 7

ორგანიზაცია:
- შპს ,,სითი გრუფ" კოდი: 205285092

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი №1403231 (10.05.2016წ.) განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, მისამართი: ვაჟა-ფშაველას გამზირი N 1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ღია საზაფხულო კაფის მოწყობის მიზნით, წერილობითი ნებართვის გაცემას, გაცნობებთ შემდეგს:

სამსახური გასცემს აღნიშნულ ნებართვას მხოლოდ იმ პირობით, თუ 2 თვის განმავლობაში თქვენს მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნება შესაბამისი თანხმობა სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“-დან იმ ფართის გამოყენებაზე, სადაც უნდა მოხდეს ღია საზაფხულო კაფის მოწყობა, ან უნდა მოხდეს ტერიტორიის იჯარის წესით აღება. მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს ამავე განაცხადზე დამატებითი დოკუმენტის ველში.

თანახმად „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილებით, გეძლევათ უფლება 3 თვის ვადით ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი N 1-ის მიმდებარე ტერიტორიაზე თქვენს მიერ წარმოდგენილი ესკიზის და ფოტომონტაჟის შესაბამისად, მოაწყოთ ღია კაფე და განათავსოთ: მაგიდა-სკამები;

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.